სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარეს ბ–ნ დიმიტრი ქუმსიშვილს

შპს გია ჭკუასელის კლინიკის
დირექტორის ნინო ჩიქვინიძის
მისამართი: თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. 13

599515309

განცხადება ტელ. 401945507

ბატონო დიმიტრი,

გაცნობებთ რ ომ მივიღეთ თქვენი 07.08.2014 წლის #4 /29598 წერილი, რომლის მ იხედვითაც, ჩემთვის სრულიად მოულოდნელად გახდა ცნობილი, რომ გია ჭკუასელის კლინიკას შესასრულებელი აქვს ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება, და რომლის შეუსრულებლობის გამოც კომპანია მოვალეა გადაიხადოს პირგასამტეხლო.
ბატონო დიმიტრი, ჩემთვის ამ მოვალეობის არსებობის შესახებ ინფორმაცია, იყო სრული მოულოდნელობა. ჩემი არაინფორმირებულობა გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ კლინიკის ფართის შეძენა და მასთან დაკავშირებული იურიდიული დოკუმენტაციის შედგენა–გაფორმება თავის დროზე შესრულებულია ჩემი მეუღლის გია ჭკუასელის მიერ, რომელიც სამწუხაროდ, სრულიად მოულოდნელად გარდაიცვალა 2011 წლის 1 სექტემბერს.
ობიექტურად არსებული პრობლემების გამო, სამწუხაროდ, დღემდე სრულყოფილად ვერ შევძელი ყველა იმ იურიდიული მხარის გარკვევა, რომელიც სამკვიდროს საფუძველზე გადმოვიდა ჩვენი ოჯახის, უფრო კონკრეტულად კი ჩვენი შვილების სახელზე.
უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ ვარ ორი შვილის დედა და ჩემი მეუღლის, გიას გარდაცვალების შემდეგ, აბსოლუტურად მარტოს მომიწია ყველა პრობლემის გადაწყვეტა. ამასთან ერთად მხედველობაშია მისაღები ის ვითარებაც, რომ მე ფიზიკურად არ გამაჩნდა ის იურიდიული დოკუმენტაცია, რომელიც თავის დროზე შედგა ჩემი აწ გარდაცვლილი მეუღლის გიას მონაწილეობით. ანალოგიური მდგომარეობაა კლინიკის კუთვნილ ფართთან დაკავშირებითაც. იმის თაობაზე, რომ კლინიკა ვალდებული იყო 6 თვეში ერთხელ წარედგინა ინფორმაცია სამინისტროსათვის ჩემთვის იყო უცნობი, რადგან არ გამაჩნდა ელემენტარულად ის ხელშეკრულებაც კი, რომელშიც ჩადებულია მსგავსი ვალდებულება.
აქვე გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ის ფაქტიც, რომ 2012 წლის 15 მარტს სამინისტროსაგან კლინიკას წერილობით ეცნობა პროფილის შენარჩუნების ვალდებულების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება, რაც რასაკვირველია დაუყოვნებლივ შეასრულა კლინიკამ. აღნიშნულის შემდეგ სამწუხაროდ ჩავთვალე რომ პროფილის შენარჩუნების თაობაზე ინფორმაციის მიწოდება სამინისტროსათვის მომავალშიც გაგრძელდებოდა ასეთი კითხვა–პასუხის ფორმატში. სამწუხაროდ ჩემი მცდარი დასკვნის საფუძველზე, ვინაიდან 2012 წლის შემდეგ სამინისტროსაგან აღარ მოგსვლია მსგავსი მოთხოვნის წერილი, შესაბამისად არც კლინიკის მხრიდან იქნა გაგზავნილი ინფორმაცია სამინისტროსათვის კლინიკის პროფილის შენარჩუნების თაობაზე.
გამომდინარე აღნიშნულიდან სახელმწიფო ქონების შესახებ საქართველოს კანონის 49 პრიმა მუხლის საფუძველზე გთხოვთ საპატიოდ ჩამითვალოთ ინფორმაციის დაგვიანებით

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თბილისის მოგზახურების ცენტრი
შემოსავლის. № 44556/3
„10" IX 2014 წ
2+8 ფურცელი

წარმოდგენა და გამათავისუფლოთ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის ვალდებულებისაგან.
ამასთან გთხოვთ მხედველობაში მიიღოთ ინფორმაცია, რომ შპს გია ჭკუასელის კლინიკა ინარჩუნებს სამედიცინო პროფილს, თევდორე მღვდლის ქ. #13–ში მდებარე ფართში კლინიკა აწარმოებს სამედიცინო პროფილის მქონე დაწესებულების სარემონტო სამუშაოებს და ვიმედოვნებთ რომ მისი სრულად დასრულების შემდეგ, ქალაქს შეემატება კიდევ ერთი თანამედროვედ გარემონტებული სამედიცინო პროფილის დაწესებულება.

დანართი:
1) სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარეს ბ–ნ დიმიტრი ქუმსიშვილს 07.08.2014 წლის #4/29598 წერილი.
2) გარდაცვალების მოწმობა.
3) საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის ბ–ნ დიმიტრი შანიძის 2012 წლის 15 მარტის #13/6008 წერილი.
4) საპასუხო წერილი პროფილის ინფორმაციის მიწოდებაზე.
5) ამონაწერი შპს გია ჭკუასელის კლინიკის სამეწარმეო რეესტრიდან.

პატივისცემით,

შპს გია ჭკუასელის კლინიკის
დირექტორი ნინო ჩიქვინიძე

ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან

განაცხადის ნომერი:	485782
განაცხადის რეგისტრაციის ნომერი:	B12063300
ამონაწერის მომზადების თარიღი:	14/05/2012 11:05:34

სუბიექტი

საფირმო სახელწოდება:	შპს გია ჭკუასელის კლინიკა
იურიდიული მისამართი:	საქართველო, ქ. თბილისის დიდუბის რაიონში, თევდორე მღვდლის ქ.,№13
ელექტრონული ფოსტა:	nino_chikvinidze@yahoo.com
საიდენტიფიკაციო კოდი:	401945507
სამართლებრივი ფორმა:	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახელმწიფო რეგისტრაციის თარიღი:	24/03/2010
მარეგისტრირებელი ორგანო:	საჯარო რეესტრი
საგადასახადო ინსპექცია:	თბილისის რეგ.ცენტრი დიდუბე-ჩუღურეთის გ-ბა

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები

- 01024011146, ნინო ჩიქვინიძე,
  დირექტორი, ,

პარტნიორები

	წილი	ანგარიშის ნომერი
63№7914712, , , ზაქარია დუდაური, რუსეთის ფედერაცია,	25.00000000%	401945507-SH-00002
01008001878, თეა ფხაკაძე,	25.00000000%	401945507-SH-00003
01031004758, ნუცა ჭკუასელი,	25.00000000%	401945507-SH-00004
01024024916, გვანცა ჭკუასელი,	25.00000000%	401945507-SH-00005

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

საგადასახადო გირავნობა/იპოთეკის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოძრავ ნივთებსა და არამატერიალურ ქონებრივ სიკეთეზე გირავნობა/ლიზინგის უფლება:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში, შესაძლებელია სარეგისტრაციო სამსახურში მოსვლის გარეშე, ელექტრონულად წარმოადგინოთ განცხადება: http://public.reestri.gov.ge ან დაგვიკავშირდეთ: 2 405 405; 595 33 71 81; შესწორებული ამონაწერის მიღება შეგიძლიათ ვებ გვერდზე, ელექტრონულად, ასევე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურსა და ლიბერთი ბანკის ნებისმიერ ფილიალში.

KA021714068578414

სახელმწიფო ქონების
ეროვნული სააგენტო

NATIONAL AGENCY
OF STATE PROPERTY

თბილისი 0108 გ.ჭანტურიას ქ.12

12 G.Chanturia Str. 0108 Tbilisi,Georgia

N4/29598

07 / აგვისტო / 2014 წ.

შპს „გია ჭკუასელის კლინიკას" (ს.კ 401945507)
მის: ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ. N13

როგორც თქვენთვის ცნობილია, საქართველოს სახელმწიფო ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა (უფლებამონაცვლე სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო) და შპს „გრანდს" (უფლებამონაცვლე შპს „გია ჭკუასელის კლინიკა") შორის 2008 წლის 26 ივნისს გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულების 2.1 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე კომპანიამ იკისრა საპრივატიზებო ობიექტის 10 (ათი) წლის განმავლობაში ჯანდაცვის პროფილით ფუნქციონირების ვალდებულება. ასევე, ნასყიდობის ხელშეკრულების 4.7 მუხლის საფუძველზე კომპანიამ იკისრა ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების დაცვისა და მათ შესრულებაზე 6 (ექვსი) თვეში ერთხელ ინფორმაციის წარმოდგენის ვალდებულება.

აქვე გაცნობებთ, რომ 26.06.2008 წლის ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული, მყიდველის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე გამყიდველისათვის 6 (ექვსი) თვეში ერთხელ ინფორმაციის წარდგენის ვალდებულება დარღვეულია, რისთვისაც ამავე ნასყიდობის ხელშეკრულების 4.4 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად გათვალისწინებულია პირგასამტეხლო გამოსასყიდი ქონების სრული ღირებულების 0.1% ოდენობით ყოველი დარღვეული დღისათვის, რაც 7.08.2014 წლის მდგომარეობით შეადგენს 38 127,90 (ოცდათვრამეტი ათას ასოცდაშვიდი და ოთხმოცდაათი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს, ამასთან პირგასამტეხლო მზარდია ყოველდღიურად მყიდველის მიერ ვალდებულების შესრულებამდე.

გთხოვთ, წინამდებარე წერილის/შეტყობინების მიღებიდან არაუგვიანეს 14 (თოთხმეტი) კალენდარული დღისა სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში წარმოადგინოთ ზემოაღნიშნული ვალდებულების შესრულების მიმდინარეობაზე ინფორმაცია, შესაბამისი დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით.

ამასთან, მომავალში კომპანიის მიერ ზემოაღნიშნული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიმდინარეობაზე შესაბამისი ინფორმაციის წარმოდგენასთან დაკავშირებით, გაცნობებთ, რომ 6 (ექვსი) თვის ათვლა დაიწყება სს „საქენერგორემონტის" მიერ ინფორმაციის წარმოდგენის შესაბამისი, კონკრეტული თარიღიდან. რაც იმას ნიშნავს, რომ მომდევნო ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას კომპანიის მიერ ბოლო ინფორმაციის წარმოდგენიდან მომდევნო 6 (ექვსი) თვის გასვლის დღემდე.

გთხოვთ, 2014 წლის 1 დეკემბრამდე უზრუნველყოთ დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდა უნაღდო ანგარიშწორების გზით შემდეგ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვის გზით:

მიმღები: სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

ანგარიშის N *GE14BG0000000655069300* (საჯარიმო)

მიმღები ბანკის დასახელება: სს „საქართველოს ბანკი"

ბანკის კოდი: BAGAGE22

პატივისცემით,

სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს
თავმჯდომარე

დიმიტრი ქუმსიშვილი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს

სახელშეკრულებო ვალდებულებათა მონიტორინგის დეპარტამენტის უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ბ-ნ დიმიტრი შანიძეს

თქვენი 15.03.2012 წლის №13/6008 წერილის პასუხად, გაცნობებთ, რომ შპს გია ჭკუასელის კლინიკა სრულად ასრულებს 2008 წლის 26 ივნისის ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრ მოვალეობებს. კერძოდ, ობიექტს შენარჩუნებული აქვს სამედიცინო პროფილი, როგორც ეს არის განსაზღვრული არსებული ხელშეკრულების შესაბამისად. მხოლოდ გაცნობებთ, რომ ობიექტის უკეთ ფუნქციონირების კუთხით ჩვენ ამჟამად ვაწარმოებთ სარემონტო სამუშაოებს, რომელიც სრულად უნდა იქნეს დასრულებული მიმდინარე წლის ბოლოსათვის. მტკიცებულების სახით თან ვურთავთ საპროექტო დოკუმენტაციას.

დირექტორი: /ნ. ჩიქვინაძე/

შპს „გია ჭკუასელის კლინიკა" * 401945507 *

KA020117421789712

საქართველოს
ეკონომიკისა და მდგრადი
განვითარების სამინისტრო

MINISTRY OF ECONOMY
AND SUSTAINABLE
DEVELOPMENT OF GEORGIA

0108 თბილისი, ჭანტურიას ქ. N12
12, G. Chanturia str., 0108 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 99 11 05; 99 11 11
Fax.: (+995 32) 921534

№ 13/6008

15 / მარტი / 2012 წ.

შპს "გრანდი"-ს
დირექტორს თამაზ გრიგოლაშვილი
მისამართი: ქ. თბილისი, ჭავჭავაძის გამზირი №5

ასლი: შპს "გია ჭკუასელის კლინიკა"-ს
დირექტორს ნინო ჩიქვინაძეს
ქ. თბილისი თევდორე მღვდლის ქ. №13

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და შპს "გრანდს" შორის (სოლიდარულად პასუხისმგებელი პირი შპს "გია ჭკუასელის კლინიკა") 2008 წლის 26 ივნისს გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება. ხელშეკრულების საგანია: ქ. თბილისში თევდორე მღვდლის ქ. №13-ში მდებარე შენობის სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სარდაფი 715.22 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №01.13.07.21.024.01.502) და ამავე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 802.52 კვ.მ. (მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდით: №01.13.07.21.024.01.503) ფართობი და მათზე წილობრივად დამაგრებული მიწის ნაკვეთი.

აღნიშნული ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტის საფუძველზე მყიდველმა უნდა შეინარჩუნოს ობიექტის სამედიცინო პროფილი 10 (ათი) წლის განმავლობაში.

გთხოვთ, შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში მოგვაწოდოთ ინფორმაცია ხელშეკრულების მე-2 მუხლის 2.1. პუნქტის "ბ" ქვეპუნქტით შპს "გრანდი"-ს და შპს "გია ჭკუასელის კლინიკას" მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულების მდგომარეობის თაობაზე, სათანადო დამადასტურებელი დოკუმენტაციის თანხლებით.

პატივისცემით,

სახელშეკრულებო ვალდებულებათა
მონიტორინგის დეპარტამენტი, დეპარტამენტის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

დიმიტრი შანიძე

საქართველო

გარდაცვალების მოწმობა

სახელი: გიორგი

გვარი: ჯკუასელი

დაბადების თარიღი: 23 აგვისტო 1960 წ. (ათას ცხრაას სამოცი წლის ოცდასამი აგვისტო)

მოქალაქეობა: საქართველო

პირადი ნომერი: 01024019292

გარდაცვალების თარიღი: 1 სექტემბერი 2011 წ. (ორი ათას თერთმეტი წლის პირველი სექტემბერი)

გარდაცვალების ადგილი: თურქეთი, ქ. სტამბოლი

გარდაცვალების რეგისტრაციის თარიღი: 2 სექტემბერი 2011 წ. (ორი ათას თერთმეტი წლის ორი სექტემბერი)

საქტო ჩანაწერის №: 93920117008

ადგილი: გენერალური საკონსულო სტამბოლი

მოწმობის გაცემის თარიღი: 2 სექტემბერი 2011 წ.

მოწმობის გამცემი ორგანო: გენერალური საკონსულო სტამბოლი

ალ № 446422